სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №253

ქ.ბათუმი

1 დეკემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ "ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მის დირექტორის თინათინ ზოიძის სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი დონარი ბოლქვაძე (შემდგომში ,,მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი შემსყიდველს აწვდის ხულოს ტურისტული საინფორმაციო ცენტრის დასუფთავებისა და დალაგების მომსახურებას (CPV კოდი 90900000 - დასუფთავება და სანიტარული მომსახურება), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს გაწეული მომსახურების საფასური.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, 2015 წლის 30 დეკემბრამდე, შემსყიდველსა და მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

3.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს 2015 წლის 1 დეკემბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.

3.3. მომსახურების მიწოდების ადგილია ხულო, მ. აბაშიძის ქ.№29 -ში მდებარე ტურისტული საინფორმაციო ცენტრი.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი მომსახურება.

4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ანაზღაურება.

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ხარისხიანი და უნაკლო მომსახურება.

4.4. შემსყიდველი ვალდებულია დროულად მოახდინოს გაწეული მომსახურების ანაზღაურება.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ყოველთვიური საფასური, ხელშეკრულების საერთო

ღირებულება

5.1. გაწეული მომსახურების ყოველთვიური საფასური შეადგენს 100 (ასი) ლარს, რომელშიც შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადი 20 (ოცი) ლარი.

5.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს, რომელიც მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საშემოსავლო გადასახადს 20 (ოცი) ლარს.

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ყოველი თვის 30 რიცხვამდე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

6.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 6.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

6.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

7.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების სმოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 1 დეკემბრიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9. მხარეთა რეკვიზიტები და იურიდიული მისამართები:

ა(ა)იპ "ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო"	**ფიზიკური პირი დონარი ბოლქვაძე**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	მისამართი: დ. ხულო ს.ხიმშიაშვილის ქ. № 10
საიდენტიფიკაციო კოდი: 445388054	პირადი N: 26001005591
ს.ს. "თიბისი ბანკი"	*სს „საქართველოს ბანკი"*
ბანკის კოდი – TBCBGE22	*ბანკის კოდი: BAGAGE22*
ა/ნ – GE62TB7901736010100015	*ა/ნ - GE74BG0000000594418000*
დირექტორი	**ფიზიკური პირი**
_____ /თინათინ ბოიძე/ ბ.ა.	_____ /დონარი ბოლქვაძე/ ბ.ა.

445388054